



ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

მესამე კვარტალი. 2016 წ.

სარჩევი:

რთველი-2016	3 გვ.
მარკეტინგი და პოპულარიზაცია.....	5 გვ.
ექსპორტი.....	19 გვ.
ქართული ვაზისა და კულტურის კვლევა.....	20 გვ.
ვენახების კადასტრი.....	22 გვ.
დეგუსტაციები.....	24 გვ.
სერტიფიცირება.....	24 გვ.
სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება.....	24 გვ.

ანგარიში

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, მევენახეობა-მელვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მუდმივი კონტაქტის, ასევე მელვინეობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში ახორციელებდა.

მიმდინარე წლის მესამე კვარტლის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: რთველი-2016 პროგრამის განხორციელება; მარკეტინგი და პოპულარიზაცია; ქართული ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია; კონტროლი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე და ღვინის ბრენდებზე; სამომხმარებლო ბაზრის დაცვა დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან; მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება და დარგთან დაკავშირებული სხვა მარკეტინგული და ადმინისტრაციული ღონისძიებები.

როველი - 2016

როველის საკოორდინაციო შტაბი 23 აგვისტოს თელავში გაიხსნა. შტაბის გახსნას წინ უძღვოდა შეხვედრები მეწარმეებთან და კახეთის მუნიციპალიტეტების სოფლების რწმუნებულებთან. ჩატარდა როველის ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები: როველთან დაკავშირებით სამთავრობო დადგენილების მიღება და მისი გაცნობა მეწარმეებისთვის; ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა; პროგრამული უზრუნველყოფა და ტრენინგების ჩატარება შტაბის ოპერატორებისთვის; შემუშავდა „როველი 2016“-ის საკომუნიკაციო სტრატეგია და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა. „როველი 2016“-ის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის მიხედვით მომზადდა საკომუნიკაციო-საინფორმაციო მასალა: ბროშურა, ბანერები, შტენდერები და სხვა. როველის მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების სწორი და დროული ინფორმირების მიზნით, აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა ცენტრალურ და რეგიონალურ მედია საშუალებებთან.

2016 წელს როველის პროცესში სიახლე იყო, რომ როველში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს დარეგისტრირება შეეძლოთ ელექტრონულად, როველის საკოორდინაციო შტაბში გამოცხადების გარეშე, ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით:

<http://winebalance.georgianwine.gov.ge/LogOn?ReturnUrl=%2f>

ასევე, სოფლის რწმუნებულები მევენახეებისთვის ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობის გაცემა შეეძლოთ სააგენტოს ვებ-გვერდზე, შემდეგ მისამართზე:

<http://governor.georgianwine.gov.ge/LogOn?ReturnUrl=%2f>

როველი აგვისტოს ბოლოს ტრადიციულად დედოფლისწყაროს რაიონიდან დაიწყო.

1 ოქტომბრის 17.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავდა 101,7 ათასი ტონა ყურძენი. აქედან 58,5 ათასი ტონა რქაწითელი, 37,6 ათასი ტონა საფერავი, 2,7 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

სულ ღვინის კომპანიებს ყურძენი ჩააბარა 16 444 მევენახემ, რომელთაც ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლების სახით 88,6 მლნ ლარი მიიღეს.

გადამუშავებული ყურძნის რაოდენობით მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: გურჯაანი - 33,3 ათასი ტონა, თელავი - 26,15 ათასი ტონა, ყვარელი - 21,4 ათასი ტონა, სიღნაღი - 7 ათასი ტონა, და საგარეჯო - 5,4 ათასი ტონა, ახმეტა - 3,7 ტონა ტონა, ლაგოდეხი - 2,8 ათასი ტონა და დედოფლისწყარო - 1,9 ათასი ტონა.

- ამ დროისთვის გაცემული სუბსიდიის თანხა 5 მლნ ლარამდეა. ღვინის კომპანიები მევენახეებს 1 კგ რქაწითელში 80 თეთრს, ხოლო საფერავში 1 ლარს უხდიდნენ, თუმცა დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მაღალი ხარისხის ყურძენში 20 თეთრით მეტი გადაუხადეს.

- ყველაზე მაღალი დღელამური გადამუშავების მაჩვენებელი დაფიქსირდა 20 სექტემბერს - 6 400 ტონა.

- სულ რთველის საკოორდინაციო შტაბში სულ დარეგისტრირდა 194 ღვინის კომპანია, მათგან ყურძენი ამ დროისთვის გადამამუშავა 171-მა კომპანიამ.

- სახელმწიფო კომპანია „აკურას“ მიერ გადამამუშავდა მთლიანი მოცულობის 28%, რაც გასულ წლებთან შედარებით კარგი მაჩვენებელია.

24 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თელავში "რთველი 2016"-ის საკოორდინაციო შტაბს ესტუმრა და რთველის მონიტორინგის შედეგებს გაეცნო. გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა ხელისუფლების სრულ მზადყოფნას, წლებანდელი რთველის ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩასატარებლად. მისი თქმით, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია როგორც მევენახეების,

ასევე მეწარმეების ინტერესის გათვალისწინება. მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ რთველი წარმატებით ჩაივლის და არცერთ მევენახეს არ დარჩება ჩაუბარებელი ყურძენი.

რთველის შტაბს რამდენჯერმე ეწვია სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, რომელიც ადგილზე გაეცნო რთველის მიმდინარეობას, ღვინის საწარმოებში არსებულ მდგომარეობასა და ყურძნის ჩაბარების პროცესს.

ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვინის კომპანიებში ყურძნის ჩამბარებელ ფიზიკურ პირებზე სუბსიდია გაიცემა:

კახეთის რეგიონში რქაწითელზე და კახური მწვანეზე - 1 კგ-ზე - 0,45 ლარი;

საფერავზე - 1 კგ-ზე - 0,20 ლარი;

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის რეგიონში მუჯურეთული/ალექსანდროულზე - 1 კგ-ზე - 2 ლარი.

დაინტერესებულ პირებს რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზზე - 1501.

რთველის მიმდინარეობის დინამიკა შეგიძლიათ იხილოთ ღვინის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდებზე <http://georgianwine.gov.ge/statistic> და <http://rtveli2016.gov.ge/statistic> .

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით ღონისძიებები გაიმართა საქართველოში, ჩინეთი/ჰონგ-კონგში და დიდ ბრიტანეთში.

მათ შორის აღსანიშნავია:

ქართული ღვინის ფესტივალი ჰონგ-კონგსა და შანხაიში

ქართული ღვინის ფესტივალი შანხაისა და ჰონგ-კონგში ჩატარდა, სადაც ქართული ღვინისმწარმოებელი 9 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოები იყო წარმოდგენილი.

ფესტივალს ორი დღის განმავლობაში შანხაის „რუზველტის სახლი“ და ჰონგ-კონგისსასტუმრო „კორდისი“ მასპინძლობდა. ღონისძიება სოფლის მეურნეობის სამინისტროსსსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და საერთაშორისო მარკეტინგულიკომპანია „Meiburg Wine Media“-ის ორგანიზებით ჩატარდა.

ქართული ღვინის მასტერკლასებსა და დეგუსტაციებს კომპანია „Meiburg Wine Media“-ისხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი უძღვებოდა. ფესტივალს ღვინისეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი და სააგენტოსწარმომადგენლები დაესწრნენ.

ღვინის მაგისტრმა, დებრა მეიბურგა ქართული ღვინის გამორჩეულობაზე ისაუბრა.

„ქართულ ღვინოს დიდი ნაირსახეობის შემოთავაზება შეუძლია. მაგალითად, ახალი ტიპისღვინოები, შედარებით დაბალალკოჰოლური ღვინოები, რომელსაც ახასიათებს ცოცხალიხილის არომატი, შემფასებლების მოწონებას იმსახურებს საფერავი, ის განსხვავებულია.სხვადასხვა გემოვნების მქონე ჩინელ მომხმარებელს შეუძლია ამ ნაირსახეობებიდანშეარჩიოს ღვინო თავისი მოთხოვნების შესაბამისად“ - აღნიშნა მეიბურგმა.

ქართული ღვინის ფესტივალს მრავალი ვიზიტორი ესტუმრა: ადგილობრივი მედიის,ღვინის ინდუსტრიის, სასტუმროებისა და რესტორნების, იმპორტიორი კომპანიების,ღვინის საგანმანათლებლო, ღვინის მარკეტინგული კომპანიების წარმომადგენლები, რაცძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის ჩინეთის ბაზარზე.

მთელი დღის განმავლობაში სტუმრები ეცნობოდნენ ქართული ღვინის ისტორიასა დაკულტურას, აგემოვნებდნენ ქართულ ღვინოებს ადგილობრივ პოპულარულ კერძებთანერთად.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული ღვინის კომპანიების სხვადასხვასტილის ღვინოები: „ბაგრატიონი“, „შატო მუხრანი“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „GWS“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „კახური ღვინის მარანი“, „მეღვინეობახარება“, „მილდიანი“ „უსახელაურის ვენახები“.

ჰონგ-კონგში ვიზიტის დროს გიორგი სამანიშვილმა და ღვინის ეროვნული სააგენტოსწარმომადგენელმა ჩინეთში მათა ცეიტიშვილმა შეხვედრები გამართეს ჰონგ-კონგის ღვინისაკადემიის წარმომადგენელთან ქრის ლაისთან (Chris Lai) და ტერსინა შეისთან (Tersina Shieh), რომელიც არის ღვინის კონსულტანტი, მარკეტოლოგი, კულინარიისა და ღვინისშეხამების მრჩეველი და ბლოგერი. შეხვედრებზე განხილული იყო ქართული ღვინისჩინეთის ბაზარზე გავრცელებისა და პოპულარიზაციის საკითხები და სამომავლოთანამშრომლობის პერსპექტივები.

ქართული ღვინის საგანმანათლებლო კურსები

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით ივლისში ქართული ღვინის საგანმანათლებლო კურსები გაიმართა.

ქართული ღვინის სასწავლო კურსი ჩატარდა პეკინის საგანმანათლებლო ცენტრში EASE SCENT WINE EDUCATION-ის. სასწავლო სემინარი მოიცავდა ქართული ღვინის გემოვნური თვისებების, დაყენების მეთოდებისა და ღვინის კულტურის გაცნობას. სემინარ-დეგუსტაციაზე ოთხი ქართული ღვინის კომპანიის („ბაგრატიონი 1882“, „თელიანი ველი“, „თელედა“, „შატო მუხრანი“) 6 სახეობის ღვინო იყო წარმოდგენილი.

თითოეული სასწავლო კურსი 30 მსმენელს ეთმობოდა, რომელსაც საგანმანათლებლო ცენტრის სპეციალისტები უძღვებოდნენ. სულ გაიმართა 9 ჯგუფის სასწავლო კურსი, რომელთა მსმენელები იყვნენ ღვინის მოყვარულები, ჟურნალისტები, იმპორტიორები და ღვინის სპეციალისტები. სემინარებს დაესწრო ქართული ღვინის წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მაია ცქიტიშვილი.

ექსპოზიცია-დეგუსტაცია ღვინის მაღაზიებში

კომპანია MaiM9-თან თანამშრომლობით, პეკინის (Beijing), ნინბოს (Ningbo), შანჰაისა (Shanghai) და ტანშანის (Tangshan) ღვინის მაღაზიებსა და სალონებში ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები გაიმართა.

ქალაქ ნინბოში ქართული ღვინის სამდღიანი ექსპოზიცია-დეგუსტაცია გაიმართა (ჭეძიანის პროვინცია, Zhejiang) ორიენტალ პლაზაში. ექსპოზიცია-დეგუსტაციას უმასპინძლა სადისტიბუციო კომპანია Jade Cellar-მა, რომელიც მსოფლიო ღვინოების დისტრიბუციას ეწევა ჩინეთის ბაზარზე.

ქართული ღვინის ექსპოზიცია შანჰაის O2O გამოფენისა და ლუომადადაოს (Luomadadao) დისტრიბუციის ცენტრებში მოეწყო, სადაც ასობით ვიზიტორს შეეძლო ქართული ღვინის დაგემოვნება.

სხვადასხვა პროვინციების იმპორტიორებისთვის ქართული ღვინის გაცნობისა და დეგუსტაციის მიზნით პეკინში გამართულ ღონისძიებას, ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის ოფისი მასპინძლობდა. ინდივიდუალურ შეხვედრებს ესწრებოდნენ პოპულარიზაციის ცენტრის თანამშრომლები და ქართული ღვინის წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მაია ცქიტიშვილი.

ქართული ღვინისა და საიუველირო ნაკეთობების საღამო

ქართული ღვინისა და საიუველირო ნაკეთობების საღამო გაიმართა ქალაქ პეკინში. ღონისძიებას 100-მდე სტუმარი დაესწრო. ქართულ ღვინოსთან ერთად წარმოდგენილი იყო კომპანია Cultural and Creative Garden of West Sea 48 -ის მიერ წარმოდგენილი, ჩინეთის ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი საიუველირო ნაკეთობები სახელწოდებით „The Night for Designers“.

ღონისძიებაზე საიუველირო ნაკეთობების წარდგენას ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია ცვლიდა, რომელსაც უძღვებოდა ღვინის მოყვარული, ექსპერტი და მწერალი ქალბატონი იაო (Yao), რომელმაც დიდი ენთუზიაზმით ისაუბრა საქართველოს უძველეს და მრავალფეროვან ისტორიაზე, ტურისტულ პოტენციალზე, ქართული ღვინის მახასიათებლებსა და ქვევრის მეთოდზე.

ქართული ღვინისა და ჩინური კულინარიის საღამო 23-მილიონიან სინძიანის პროვინციაში

ჩინეთის სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში ქართული ღვინისა და ჩინური კულინარიის საღამო გაიმართა, რომელიც ორგანიზებული იყო ქართული ღვინის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია „ზეიფანძიედას“ მიერ.

„ემა ჯგუფის“ (Yema Group) ცენტრში გამართულ ღონისძიებაზე, კომპანია "ზეიფანძიედას" წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს საფერავის საუცხოო შეხამებაზე სინძიანის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ცნობილ კერძთან „მეიძი მოკუ ჯინიუფე“ და ასევე ცნობილ ჩინურ ტრადიციულ კერძთან - „იხვი პეკინურად“.

ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი დაესწრო, რომელიც სინძიანის პროვინციაში სააგენტოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად ვიზიტით იმყოფებოდა. საღამოს დაესწრნენ სინძიანის მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მოინახულეს კომპანია „ბეიფანძიდას“ ქართული ღვინის ობიექტები, შეხვდნენ ადგილობრივ ჟურნალისტებს. ასევე ესტუმრნენ ღვინის კომპანიას „Zhongli“, დაათვალიერეს კომპანიის ვენახები.

კომპანია „ბეიფანძიდას“ ინვესტირებით სინძიანის პროვინციაში გახსნილია ქართული ღვინის პოპულარიზაციის ათეულობით ობიექტი - ქართული რესტორნები („თამადა“), ღვინის მაღაზია-სალონები და ღვინის სარეალიზაციო ოფისები, სადაც აქტიურად იყიდება ქართული ღვინოები, როგორც კერძო პირებზე, ასევე ინტერნეტ მომხარებელზე. კომპანიის დილერების რაოდენობა 70-ს შეადგენს, რომელთაგან 16 დილერს დამატებით ქართული ღვინის მაღაზია აქვს გახსნილი სინძიანის პროვინციაში. ჩინეთში იმპორტირებული ქართული ღვინის ექსპორტის (2015 წლის მონაცემები) 13% სინძიანის პროვინციაზე მოდის. სინძიანი ცნობილია ღვინის წარმოების ზრდისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებით.

კომპანია „ბეიფანძიდას“ ქართული ღვინის ობიექტებში, ქართული ღვინის გარდა ქართული თაფლის და ქართულ ჩაის რეალიზაციაც ხდება.

ჩინურ-ქართული კულტურის ცენტრის გახსნა ჩინეთში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ნანჩანგში, ძიანგსის აბრეშუმის გზის საინვესტიციო კომპანიის ინიციატივით და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საპარტნიორო ფონდის მხარდაჭერით, ქართული ღვინის სახლი - „ჩინურ-ქართული კულტურის ცენტრი და ღვინის სავანე-ჯუნგე“ გაიხსნა.

ქართული ღვინის სახლის გახსნას დაესწრო საქართველოს დელეგაცია საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის მეთაურობით.

ნანჩანგის ქართული ღვინის სახლი ოთხი ათას კვადრატულ მეტრ ფართობზეა განთავსებული და მოიცავს სადეგუსტაციო და საექსპოზიციო დარბაზებს, მუზეუმს, ენოთეკას და ქართულ რესტორანს.

ჩინურ-ქართული კულტურის ცენტრისა და ღვინის სავანის გახსნის ცერემონიაზე მოსულ სტუმრების შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო, ასევე გაცნობოდნენ ქართულ ფოლკლორს - ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ღვინის კულტურის პოპულარიზაციის კუთხით ჩინეთში.

ჩინეთის მასშტაბით დღეისთვის სხვადასხვა იმპორტიორი კომპანიების მიერ ბოლო ორ წელიწადში გახსნილია რამდენიმე ათეული ქართული ღვინის მაღაზია, სალონი, პავილიონი, სახლი, ცენტრი, რესტორანი და სხვა.

ქართული ღვინო და ჩინური ჩაი - საზეიმო მიღება

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით აბრეშუმის გზის ბიზნესსამიტი 2016 -ის და აბრეშუმის გზის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გამართულ ღონისძიებას (Historical Cheers - Display of Chinese Tea Culture and Georgian Wine Culture) დაესწრო, რომელიც ქართული ღვინისა და ჩინური ჩაის კულტურის და ტრადიციების წარმოჩენას ისახავდა მიზნად. ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა. ღონისძიებაზე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ვიდეომიმართვამ, რომელიც ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ამ მიმართულებით აბრეშუმის გზის სამიტის მნიშვნელობას შეეხებოდა.

სამიტის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს დელეგაციის წევრებმა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, მონღოლეთსა და ვიეტნამში დავით აფციაურმა და აბრეშუმის გზის სავაჭრო კომერციული პალატის ვიცე- თავმჯდომარემ, საქართველოს საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პალატის საპატიო თავმჯდომარემ, ჯემალ ინაიშვილმა.

საზეიმო მიღებაზე ჩინელმა მსახიობებმა ტრადიციული ცეკვები და მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს. დამსწრე საზოგადოებას ქართული ხალხური ცეკვები ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავეებმა გააცნეს.

ღონისძიება პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი მაუწყებლის (CCTV) ეთერით, რომელსაც ასობით მილიონი მაყურებელი ჰყავს.

საზეიმო მიღებას საქართველოს დელეგაციის წევრები საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პალატის, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, საქართველოს საპარტნიორო ფონდის, საქართველოს პრეზიდენტის აპარატის, საქართველოს რკინიგზის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები და ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის გენერალური დირექტორი ადამ ჰუანგი ესწრებოდნენ.

[ღვინის პროფესიონალების ვიზიტი აშშ-დან](#)

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ცნობილი ღვინის საერთაშორისო მაგისტრის, ლიზა გრანიკის (აშშ) ხელმძღვანელობით ღვინის პროფესიონალების 10-კაციანი ჯგუფი საქართველოს ესტუმრა. (Lisa Granik, Kyle Eberle, Giancarlo Luigi, Carolyn

Beaty, Aaron Zebrook, Amber Rill, Tristan Prat-Vincent, Bruno Almeida, Isabella Fitzgerald, Barbara Haimes).

ერთკვირიანი ღვინის ტურის ფარგლებში ამერიკელმა სტუმრებმა მოინახულეს ღვინის კომპანიები და მცირე მარნები ქართლსა და კახეთში: "გოცას ღვინოები", "ალავერდის მონასტრის მარანი", „დანიელის მეღვინეობა“, „მალაურის ღვინის მარანი“, "თელავის ღვინის მარანი", "მუხმან ვაინს ჯორჯია", „მუმი“, "თელედა", „ჩვენი ღვინო“, „ხოხბის ცრემლები“, „ნიკა ბახიას მარანი“, „ჩელთი“, „თელიანი ველი“, "ლაგვინარი", "შატო მუხრანი", "თბილღვინო", „ვინოტელი“ და „ბაგრატიონი 1882“, სადაც ადგილზე დააგემოვნეს ქართული ღვინოები, გაეცნენ ქართული ღვინის ისტორიასა და კულტურას, ქართულ სამზარეულოს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Tastingwork“-ის ხელმძღვანელის, რომელიც ბოლო წლების მანძილზე არაერთი ღვინის ტურით ეწვია საქართველოს - ლიზა გრანიკის შეფასებით, ქართული ღვინის ხარისხი სულ უფრო და უფრო იხვეწება და უმჯობესდება.

ქართული ღვინის წარდგენას ამერიკელი ღვინის პროფესიონალების წინაშე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები გამოიკვეთა, როგორც ქართული ღვინის ერთ-ერთი პოტენციურად მზარდი საექსპორტო ბაზარი, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს.

აშშ-ს სხვადასხვა ქალაქებში გამართული დეგუსტაციებისა, საქართველოში ღვინის პროფესიონალების მოწვევით და სხვა აქტივობებით, ღვინის ეროვნული სააგენტო აშშ-ში აქტიურ მარკეტინგულ კამპნიას ახორციელებს, რაც უწყობს ქართული ღვინის ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას აშშ-ს ბაზარზე და ზოგადად ქართული ღვინის საექსპორტო არეალის გაფართოებას.

მიმდინარე წლის 8 თვის მონაცემებით საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 172 ათასამდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 10%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ჩინეთის 22 მილიონიან სინძიანის პროვინციაში „ქართული ღვინის კულტურის ცენტრი“ დაფუძნდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და ჩინეთის სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩის „ქართული ღვინის კულტურის ცენტრს“ შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

„ქართული ღვინის კულტურის ცენტრი“ ჩინეთში ქართული ღვინის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია „ბეიფანძიედას“ მიერ დაფუძნდა. (Xinjiang Beifang Jianda Trade Co., Ltd)

მემორანდუმს ხელი მოაწერეს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა და კომპანია „ბეიფანძიედას“ გენერალურმა მენეჯერმა თონგ ჯიამ (Tong Jia).

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი სამანიშვილის განცხადებით, სინძიანის პროვინცია ერთ-ერთი პირველია ჩინეთში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტი დაიწყო.

სინძიანის პროვინციის მოსახლეობა 22 მილიონ, ხოლო მისი დედაქალაქ ურუმჩის - 5 მილიონზე მეტ ადამიანს შეადგენს. პროვინციას ესაზღვრება 8 ქვეყანა - ყაზახეთი, რუსეთი, მონღოლეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი და ავღანეთი, სადაც ტრადიციულად მდებარეობდა „აბრეშუმის დიდი გზის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძი.

ქართული ღვინო ლონდონში და მანჩესტერში დააგემოვნეს

დიდი ბრიტანეთის ქალაქებში - ლონდონსა და მანჩესტერში, ჟურნალ “ჰარპერსის“ ეგიდით საერთაშორისო ყოველწლიური გამოფენა-დეგუსტაცია SITT (Specialist Importers Trade Tasting) გაიმართა. გამოფენას ღვინის თემაზე მომუშავე ცნობილი ჟურნალისტები, ღვინის მაგისტრები, ასევე საცალო და საბითუმო ვაჭრობით დაინტერესებულ პირები დაესწრნენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით და ორგანიზებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გვერდით, წელს ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 6 კომპანია: „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „ტყუპების საღვინე მარანი“, „მარანული“, „მადამ ვაინი“, „ასკანელი ძმები“ და „ქვევრი ამორისი“.

ქართულმა ღვინომ გამოფენის სტუმრების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ბრიტანეთის ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი ქვეყანაა.

ქართული ღვინის მწარმოებლებთან თანმიმდევრული და მიზანმიმართული თანამშრომლობით, შესაძლებელია ინგლისში ქართული ღვინის ექპორტის მზარდი ტენდენციის შექმნა.

2016 წლის 8 თვის მონაცემებით, საქართველოდან დიდ ბრიტანეთში ღვინის ექსპორტმა შეადგინა - 67 522 ბოთლი, რაც 65%-ით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ქართული ღვინო ჩინეთ-ევრაზიის გამოფენაზე

2016 წლის 20-25 სექტემბერს სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში ჩინეთ-ევრაზიის მე-5 გამოფენა (The 5th Eurasia Expo, 2016) გაიმართა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სინძიანის "ქართული ღვინის კულტურის ცენტრის" თანაორგანიზებით, გამოფენაში 16-მა ქართული ღვინის კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

ქართულ პავილიონთან წარმოდგენილი იყო ქართული ხალხური ცეკვები, რაც უამრავი ვიზიტორის ყურადღების იქცევდა. ქართული პავილიონი გაფორმებული იყო ქვევრებით და სხვადასხვა ქართული ტრადიციული ნივთებით.

გამოფენის სტუმრები ქართულ ღვინოსთან ერთად ჩურჩხელებსა და სხვადასხვა ნუგბარს აგემოვნებდნენ.

გამოფენა გამოირჩეოდა ხალხმრავლობით. მხოლოდ 23 სექტემბერს მას 80 ათასი ვიზიტორი ეწვია. პირველად ქართული ღვინის ექსპორტის ისტორიაში, მიმდინარე წლის აგვისტოში ჩინეთმა ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა და გადაასწრო ისეთ ტრადიციულ ბაზარს, როგორც უკრაინაა.

ჟურნალისტების ღვინის ტური საქართველოში

ღვინის მაგისტრის, დებრა მეიბურგის ხელმძღვანელობით ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტების ჯგუფი (იტალია, ავსტრალია, აშშ, პორტუგალია, ჩინეთი) ერთკვირიანი ღვინის მედია-ტურით საქართველოში ესტუმრა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით გამართული ტურის ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებმა ქართლსა და კახეთში მოინახულეს სხვადასხვა ღვინის კომპანია,

სადაც გაეცნენ საქართველოს ღვინის კულტურას, ისტორიას, ქართულ სამზარეულოსა და ფოლკლორს, დააგემოვნეს ქართული ღვინოები. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე მედია-ტურის მონაწილეებს კახეთში, ერთ-ერთ ღვინის კომპანიაში სტუმრობის დროს შეხვდა.

დებრა მეიბურგის შეფასებით, საქართველო გამორჩევა ადგილობრივი ბუნებრივი ღვინოების მრავალფეროვნებით.

ინფორმაციისთვის: ღვინის მედია-ტურის შემადგენლობა - დებრა მეიბურგი - ღვინის მაგისტრი და სპიკერი (ჰონგ-კონგი), ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი „Meiburg Wine Media“-ს დამფუძნებელი; მაიკ პიტერსი - ღვინის მწერალი „China Daily“; ჯენის ლენგი - ღვინის მწერალი და ბლოგერი www.janiceleunghayes.com; სარა ჰელერი - სომელიე, ღვინის მწერალი “South China Morning Post”; ჯისი ვიენსი - ღვინის მწერალი „Spirito Di Vino“; რონი ლაუ - ღვინის კრიტიკოსი, „Hong Kong Wine & Spirits Writers Association“-ის თავმჯდომარე; ძიაო პედრო - ღვინის მწერალი; სიან ჟანგი - ღვინის მწერალი ჩინეთში; ბორის ლი - „The Sun Daily“-ის ჟურნალისტი ; სანგ ვონგი - “Life Week“-ის მწერალი; ჯული ჟუ - “Modern Weekly” -ის მწერალი; ალექს ვებსტერი - მენეჯერი „Meiburg Wine Media“; პამელა ლემი - მარკეტინგის და პროექტების მართვის მენეჯერი („Meiburg Wine Media“)

ჟურნალ Vinum-ის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს შვეიცარული კომპანიის Mettler Vaterlaus GmbH, <http://www.mettlervaterlaus.ch/> წარმომადგენლები ესტუმრნენ, რომლებმაც ქართული ღვინით გამოხატეს დაინტერესება. აღნიშნული კომპანია გამოსცემს მეღვინეობის სფეროში ცნობილ ჟურნალ Vinum-ს (<http://www.vinum.info/home/index.php?cois=de>) გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. მათი საქართველოში ვიზიტი ემსახურება ქართული ღვინის ინდუსტრიის გაცნობას,

ასევე ჟურნალ Vinum-ისთვის ქართული ღვინისა და ღვინის კულტურის შესახებ მასალების მომზადებას.

ქართული ღვინის კვირეული

22 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე საქართველოში ღვინის კვირეული გაიმართა. 22 სექტემბერს, ქართული ღვინის კვირეული თელავის მუნიციპალიტეტში, იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემია გახსნის საზეიმო ღონისძიებით დაიწყო. ღონისძიება სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა. ამავე დღეს, ქართული ღვინის კვირეულის გახსნის აღსანიშნავად, თელავში, სახალხო ზეიმი - ღვინის ფესტივალი გაიმართა. ღონისძიებაზე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ფესტივალის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინო დაეგემოვნებინათ. ღონისძიებაზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაცია (ყველი, თაფლი, ჩირი, ჩაი, ხილი) გაიმართა.

ღვინის კვირეულის ფარგლებში ასევე ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკაში ქართულ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მონოგრაფიული წიგნების გამოფენა-პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ღვინის მწერალი გიორგი ბარისაშვილი უძღვებოდა; თბილისის N1 ღვინის ქარხანაში საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით, ღვინის ფესტივალი "ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე" გაიმართა; ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში, ქალაქ მარნეულში, როგორც ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის არქეოლოგიურ ცენტრში, მოეწყო ღვინის ფესტივალი; N1 ღვინის ქარხანაში ასევე მოეწყო ნინო კაჭარავას ფილმის - „ვაში დაკარგულები“ კინოჩვენება. ჩვენების შემდეგ ქართული ღვინოების დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიებას დაესწრნენ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, რომლებსაც პროფესიული საქმიანობის ფარგლებში შეხება აქვთ ქართული ვაზისა და ღვინის კულტურასთან.

30 სექტემბერს კახეთში გაიმართა მეღვინეთა გილდიის მიერ ორგანიზებული ფესტივალი „თელავინო 2016“, ასევე საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა ქართული ღვინის მე-3 ეროვნული კონკურსი და გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება სასტუმრო „რუმსში“ გაიმართა, ასევე მოეწყო „ღვინის კლუბის“ მიერ ქართული ღვინის გზამკვლევის პრეზენტაცია, ღვინის ტურიზმის ასოციაციის ორგანიზებით 1 ოქტომბერს კახეთის საინფორმაციო ღვინის ტური მოეწყო მიზნობრივი ჯგუფისთვის. ღვინის საინფორმაციო ტური მოიცავდა ღვინის დეგუსტაციებს, შემეცნებით პროგრამას, ვიზიტებს მარნებსა და ვენახებში, ვაზის ჯიშების გაცნობას, შეხვედრებს მეღვინეებთან, კონკურსებს, ცხენით გასეირნებას და გასართობ-მუსიკალურ პროგრამას. ღვინის ფესტივალი გაიმართა ქობულეთშიც. კვირეული საზეიმოდ 2 ოქტომბერს რიყის პარკში დასრულდა, სადაც მოეწყო ღვინის გამოფენა-გაყიდვა და დამსახურებული მეღვინეების დაჯილდოების ცერემონია.

ექსპორტი

2016 წლის იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 50 ქვეყანაში ექსპორტირებულია 32 421 418 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 35%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 74,6 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 12%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით:

ჩინეთი - 154% (3 852 245), უკრაინა - 61% (3 457 028), დიდი ბრიტანეთი - 60% (67 522), ბელარუსი - 51% (789 876), პოლონეთი - 47% (1 633 514), ესტონეთი - 43% (485 688),

ყირგიზეთი - 39% (163 966), რუსეთი - 36% (17 056 936), გერმანია - 18% (223 862), იაპონია - 20% (134 808), აშშ - 5% (191 086), ლატვია 1% (841098) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მესამე კვარტლის მონაცემებით, ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორ ქვეყნების სიაში დაიკავა მეორე ადგილი და გადაასწრო ისეთ ტრადიციულ ბაზარს, როგორც უკრაინა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (17056936), ჩინეთი (3852245), უკრაინა (3457028), ყაზახეთი (2535163) და პოლონეთი (1633514).

ამასთან, მსოფლიოს 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 016 653 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 34%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 13,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების - ზრდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15%-ს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 126 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 9 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 99,7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი

ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტს“, რომლის ფარგლებში მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შესრულებულდა შემდეგი სამუშაოები:

- შეირჩა 10 არქეობოტანიკური ნიმუში რადიოკარბონული მეთოდით დათარიღებისათვის ისრაელის ვეისმანის ინსტიტუტში გასაგზავნად. ეს ნიმუშები აღებული იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ტორონტოს (კანადის)

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ერთობლივი არქეოლოგიური გათხრების დროს (6 მაისი - 12 ივნისი, 2016) მარნეულის რაიონში მდებარე ე.წ. „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. 6000 წელი) ნეოლითურ ნასახლარებზე „გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“; ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან; ს. კაპნისთავის გათხრებიდან (ხელვაჩაურის რაიონი), „დედოფლის გორა“ (გვიანი ბრინჯაოს ხანა, ქარელის რაიონი); თრელიგორები (დიდომი).

- პროექტში მოწვეულია პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეობოტანიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელ პროფესორ პატრიკ მაკგოვერნი, რომელიც მიმდინარე წლის არქეოლოგიური გათხრების დროს „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. 6000 წელი) ძეგლებზე „გადაჭრილ გორასა“ და „შულავერის გორაზე“ აღმოჩენილ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებში თანამდევ ნიადაგის ნიმუშებთან ერთად (სულ 9 ნიმუში) და ცალკე აღებულ ნიადაგის ნიმუშებში (4 ნიმუში) შეისწავლის ღვინის მჟავისა და ღვინისათვის ტიპური სხვა ქიმიური ნივთიერებების კვალს, როგორც ნეოლითური ღვინის არსებობის ერთ-ერთ დამადასტურებელ არგუმენტს. ამ მიზნით მას გადაეგზავნა საანალიზო მასალა, რომელთა კვლევაც ამჯერად აქტიურ ფაზაშია.
- მიმდინარე წლის 8-12 აგვისტოს განხორციელდა საქართველოს ველური ვაზის ექსპედიციური გამოკვლევა მინდვრის კოლექციის გაშენებისა და მისი შემდგომი ჩართვისათვის მოლეკულურ და ამპელოგრაფიულ კვლევებში. შესწავლილია აჭარის, გურიის, იმერეთის და ქართლის რეგიონები. აღმოჩენილი, აღწერილი, ფოტოგრაფირებული და ჰერბარიზირებული იქნა 8 ახალი მცენარე.
- დასრულდა სარედაქციო სამუშაოები საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალში INTERNATIONAL JOURNAL OF BIOMETEOROLOGY წარდგენილი სტატიის ‘Grapevine phenology and climate change in Georgia’ სრულყოფის მიზნით.

- OIV-ის 39-ე კონგრესის სამეცნიერო კომიტეტში წარდგენილი მოხსენება ‘Grape and Wine Culture in Georgia, the South Caucasus’ მიღებული იქნა ზეპირ მოხსენებად და ჩართული იქნა ვაზისა და ღვინის 39-ე კონგრესის პროგრამაში, რომელიც გაიმართება ბრაზილიაში, 2016 წლის 23-28 ოქტომბერს. პარალელურად, მომზადდა სტატია ინგლისურ ენაზე, რომელიც გამოქვეყნდება კონგრესის ვებ-მასალებში.
- პროექტის უცხოელი მონაწილეები გაბრიელე კოლა (მილანის უნივერსიტეტი) და რობერტო ბაჩილიერი (INRA, მონპელიე) აგრძელებდნენ კვლევებს საქართველოს მევენახეობის აგროკლიმატური და გენეტიკური რესურსების შესწავლის მიმართულებით.
- ღვინისათვის გამოყენებული ქვევრის 4 ნიმუში გადაეგზავნა ნათან ვილსს კოპენჰაგენის უნივერსიტეტში მათში ძველი დნმ ნაშთების კვლევის მიზნით.

ვენახების კადასტრის პროგრამა

ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებს ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელებას, რომელიც წარმოაჩენს ვენახებისა და ღვინის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობას. პროგრამა მოიცავს ვენახების ფართობების აღრიცხვას; ორთოფოტოების დამზადებას; ვენახებისა და მევენახეთა რეგისტრაციას და პასპორტიზაციას; სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტებას; მევენახეთა და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის სუბიექტების საანკეტო მონაცემების შეგროვებას და ა.შ.

კადასტრის აგების საფუძველია გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაზე (GIS) დაფუძნებული სატელიტური რუკები, სადაც ხდება ყველა ინფორმაციის დაკავშირება ვენახების ატრიბუტების და მათი მესაკუთრეების, ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სანერგეების ჩათვლით. მონაცემთა ოპერირებისათვის გამოყენებულია იტალიური კომპანია ABACO-ს მონაცემთა ბაზა.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა სატენდერო დოკუმენტაცია, ჩაატარა ტენდერი და გამოავლინა გამარჯვებული კომპანია „რუკა მაპინგი“, რომელიც განახორციელებს თელავის რაიონის საკადასტრო სამუშაოებს - გადაიღებს ორთოფოტოებს, მოამზადებს საკადასტრო რუკებს, შეაგროვებს ინფორმაციას მევენახეების შესახებ, მოახდენს ვენახების იდენტიფიკაციას და ვექტორიზაციას.

ორთოფოტოების გადაღება თელავის მუნიციპალიტეტში უკვე დაწყებულია.

- სააგენტოში შექმნილი კადასტრის ანალიზისა და დანერგვის სამუშაო ჯგუფი (ხელმძღვანელი ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ჭავჭავანიძე) სისტემატურად განიხილავდა საკადასტრო საკითხებს. შეთანხმდა კადასტრის პორტუგალიელი ექსპერტის ანა იზაბელ ლუჟის მესამე ვიზიტის პერიოდი, რომელიც შედგება ამა წლის 10-14 ოქტომბერს. ამ ვიზიტის დროს დაგეგმილია საკადასტრო სამუშაოებისა და შეკრებილი მონაცემების მონიტორინგი.

- იტალიურ კომპანია ABACO-ს (იტალია) გაყიდვების მენეჯერთან ფაბიო სლავიეროსთან (Fabio Slaviero) განხილული იყო აბაკოსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიმდინარე ეტაპისა და შემდგომი თანამშრომლობის გზები და ის ტექნიკური საკითხები, რომლებიც საჭიროა ამ მონაცემთა ბაზის სრულყოფილი ოპერირებისათვის. ABACO-ს ექსპერტები დამიანო პეტროკი (Damaino Pertocchi) და რუდი ფავარო (Rudi Favaro) აგრძელებენ ამ მონაცემთა ბაზაში ყვარლის მონაცემების (რუკები, ორთოფოტოები, ვენახებისა და მევენახეთა საანკეტო ინფორმაცია) ატვირთვას და სრულყოფას.

- რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ჯგუფმა რაჭის მევენახეთა ასოციაციასთან ერთად გახორციელა ამ რეგიონის საკადასტრო ინფორმაციის გადამოწმების და სრულყოფის სამუშაოები.

დეგუსტაციები

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლექტიკური ტესტირების მიზნით, 26 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 652 ნიმუში, მათგან 46 ნიმუშმა არ დააკმაყოფილა შესაბამისი მოთხოვნები და ვერ გაიარა დეგუსტაცია, დანარჩენი შეფასდა დადებითად.

სერტიფიცირება

სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოში, სხვადასხვა დასახელების ღვინოებზე შემოვიდა სულ 1271 განაცხადი. სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე სულ გაცემულია - 2123 ცალი საექსპორტო სერტიფიკატი.

მათ შორის:

შესაბამისობის სერტიფიკატი - 1096 ცალი (ყოფილი დსთ-ს და მე-3 ქვეყნებზე)

VI-1 ფორმის სერტიფიკატი - 1027 ცალი (ევროგაერთიანების ქვეყნებზე)

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება

2016 წლის მესამე კვარტალში განახორციელდა როგორც ადგილწარმოშობის, ასევე სუფრის საექსპორტო ღვინოების (ლოტთან მიმართებაში) სახელმწიფო კონტროლი სულ 11 ალკოჰოლური სასმელების კომპანიაში აღებული იქნა 64 ნიმუში: მათგან ყველამ დააკმაყოფილა შესაბამისი მოთხოვნები,

შპს „ქართული ღვინის სახლი“

შპს „ტემპი +“

შპს „მელვინეობა გრანელი“

შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“

შპს „ჰელიოსი +“

შპს „კონჭო და კომპანია“

შპს „კორპორაცია ქინძმარაული“

შპს „ტიფლის ვაინ კომპანი“

შპს „ქართული ღვინოები“

შპს „ყვარლის სარდაფი“

შპს „ხოხბის ცრემლები“

შპს „გარეჯი“